სამაგისტრო პროგრამა - რუსეთისმცოდნეობა

ანოტაციები

რუსეთის ისტორია და კულტურა მსოფლიო ცივილიზაციათა კონტექსტში

სავალდებულო კურსი, 10 კრედიტი,

პროფესორები - ბეჟან ჯავახია, ნინო ჩიქოვანი, დალი კანდელაკი (კონტრაქტით)

სტუდენტებს ვთავაზობთ ინტერდისციპლინარულ სასწავლო კურსს, რომელსაც ისტორიისა და კულტურის მეცნიერების მიმართულებების პედაგოგები გაუძღვებიან. მაგისტრანტებს შევასწავლით რუსეთის ისტორიული და კულტურული განვითარების საკითხებს ცივილიზაციათა თეორიის ჭრილში. ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, ფაქტობრივი მასალა გააზრებულ იქნას კონკრეტულ ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში, მკაფიოდ განისაზღვროს რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპები, რუსეთის მიმართება გარემომცველ სამყაროსთან განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, განვითარების თავისებურებანი და მათი განმაპირობებელი მიზეზები.

რუსეთი და კავკასია

სავალდებულო კურსი, 10 კრედიტი,

ასოც. პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი (კონტრ.) - ჯონი კვიციანი

ინტერდისციპლინარულ სასწავლო კურსს პარალელურად გაუძღვებიან საქართველოს ისტორიის და კავკასიოლოგიის მიმართულების ლექტორები. თემატურად კურსი ორ ნაწილად გაიყოფა: "რუსეთი და საქართველო" და "რუსეთი და კავკასია". წაკითხვა მოხდება ქრონოლოგიური პრინციპით. კურსის შესავალი ნაწილი დაეთმობა აღმოსავლეთ სლავების კონტაქტებს კავკასიასთან, ასევე კიევის რუსეთის სახელმწიფოს (IX-XIIსს.) ურთიერთობებს კავკასიასთან და მათ შორის, საქართველოსთან. ძირითადი ნაწილი კი დაეთმობა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს კავკასიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და მისი რეალიზაციის ისტორიას XV-XXI საუკუნეებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პოსტსაბჭოთა პერიოდს (1991-2008წწ.).

ენა და სამეცნიერო კვლევის კულტურა

სავალდებულო კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი ნატა ბასილაია

სასწავლო კურსი ორიენტირებულია ტრანსფერული კომპეტენციის განვითარებაზე: იგი მეცნიერულ საქმიანობას წარმოაჩენს, როგორც ინტელექტუალურ ქმედებას, რომელიც მიმართულია ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და სხვა სახის პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ცოდნის მიღებასა და მის გამოყენებაზე. ამ კურსის ათვისება მაგისტრანტს ასწავლის ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების სწორად გაფორმებას, კორექტულად გადმოცემას სხვადასხვა ტიპის მეცნიერული ტექსტების სახით - თეზისები, რეფერატი, მოხსენება, სტატია, საკურსო და სამაგისტრო ნაშრომები.

რუსეთის სამართლის, სამართლებრივი აზრის ისტორია და თანამედროვე რფ კონსტიტუციური სამართალი

სავალდებულო კურსი, 10 კრედიტი, ასოც. პროფესორი - მარინა გარიშვილი

სასწავლო კურსი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს მეზობელი სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი სამართალგანვითარების უწყვეტი პროცესი. სამართლის ისტორიის ასპექტში მაგისტრატს ვთავაზობთ რუსული სამართლის ისტორიის პირველწყაროების, კონსტიტუციური სამართლის, კერძო და სისხლის სამართლის ინსტიტუტების, აგრეთვე სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის ჩამოყალიბება-განვითარების შესწავლას, უძველესი დროიდან დაწყებული XX საუკუნის ჩათვლით. სამართლებრივი აზრის ისტორია ლოგიკურად ებმის სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხის ჩამოყალიბება-განვითარებას და საშუალებას იძლევა, თვალი გავაყოლოთ, ამა თუ იმ დებულების თეორიულ დასაბუთებას, სხვადსხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, თუ მეცნიერ-თეორეტიკოსის ნაშრომის მიხედვით. თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, მაგისტრატს მივაწოდოთ, ამომწურავი ცოდნა რფ სახელწმიფო ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური საფუძვლების, სახელმწიფოს მოწყობის თავისებურებების, ადამიანის და მოქალაქის ძირითადი უფლებების, საარჩევნო სისტემის ორგანიზაციის შესახებ.

რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა

სავალდებულო კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - მალხაზ მაცაბერიძე

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან რუსეთში გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარებას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ სკოლებსა და კონცეფციებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა "ევრაზიელობას", რომელიც თანამედროვე პირობებში წამყვან გეოპოლიტიკურ კონცეფციად რჩება რუსეთში, სტუდენტები ასევე გაეცნობიან თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ თეორიებს და რუსეთის გეოპოლიტიკური ადგილის გააზრებას თანამედროვე მსოფლიოში. სტუდენტები ასევე შეისწავლიან თუ რა ადგილი ეთმობა და როგორაა წარმოდგენილი რუსულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში საქართველოს და კავკასიის პრობლემატიკა.

რუსეთი - განვითარების გეოგრაფია

სავალდებულო კურსი, 5 კრედიტი, ასოცირ. პროფესორი - ვალერიან მელიქიძე

კურსი მოაზრებულია როგორც სპეციალიზირებული დისციპლინა, რომელიც რუსეთის კერძო მაგალითზე გაათვითცნობიერებს სტუდენტებს განვითარების სპეციფიკური ტრენდებისა და თავისებურებების შესახებ თანამედროვე გლობალურ კონტექსტში. კურსის ძირიადი მიზნებია, შეუქმნას სტუდენტს წარმოდგენა იმის შესახებ: თუ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე თუ ისტორიული ფაქტორების რა კომბინაცია განაპირობებს რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას, რა პრობლემებსა და გამოწვევებს აწყდება ქვეყანა განვითარების პროცესში; როგორ მოქმედებენ განვითარების სხვადასხვა ფაქტორები კონკრეტულ ბუნებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ გარემოში; როგორ ჰგავს ან რითი განსხვავდება რუსეთის განვითარების მოდელი მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნებისაგან, რა ადგილი უკავია მას თანამედროვე გლობალურ სისტემებში; როგორ ხდება ზოგადი გლობალური განვითარების ტრენდებისა და ფაქტორების ტრანსფორმაცია რუსეთის კონკრეტულ გარემოში; როგორ გამოიხატება საზოგადოებრივი განვითარების სივრცობრივი ასპექტები რუსეთის კონკრეტული რეგიონების დონეზე; რა როლს თამაშობენ ისინი მათი თანამედროვე იერსახის ჩამოყალიბებაში, როგორია მათი პოტენციალური მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის.

რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები

სავალდებულო კურსი, 5 კრედ., ასოც. პროფესორი - ლარისა ყორდანაშვილი

დისციპლინა შეისწავლის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის როლს რუსეთის ეკონომიკაში, მისი მართვის ორაგანიზაციას სახელმწიფოსა და ფირმის დონეზე, საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის პრინციპებსა და პრიორიტეტებს, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე, რუსეთის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სისტემასა და პრინციპებს, საგარეო სავაჭრო პოლიტიკასა და მისი რეალიზაციის საშუალებებს, საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებს; საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას; რუსეთის როლს საქონლის, მომსახურებისა და ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრებზე, კაპიტალისა და შრომის საერთაშორისო მოძრაობაში; რუსული კომპანიების საერთაშორისო საქმიანობას, საერთაშორისო თანამშრომლობის გეოეკონომიკურ მიმართულებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარების პერსპექტივებს.

რუსეთის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

სავალდებულო კურსი, 5 კრედიტი,

პედაგოგები: პროფესორი - რევაზ გველესიანი, ასისტ. პროფ. - მაია გონაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის იმ პრიორიტეტების შესწავლა, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე და ქვეყანას, - თუნდაც ღარიბს, - წარმატებული განვითარების საშუალებას აძლევენ. რუსეთის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის კურსის შესწავლით სტუდენტები ეცნობიან რუსეთის ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების რთულ პრობლემებს, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების ლოგიკას და ფუძემდებლურ პრინციპებს, ქვეყნის განვითარების პროცესებზე ზემოქმედების მექანიზმებს, მათი გამოყენების თავისებურებებს, კონკრეტულ სიტუაციებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრის ფაქტორებს.

რუსეთის ეკლესიის ისტორია

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, ასოცირებული პროფესორი - ვახტანგ გურული

სტუდენტებს შეისწავლიან რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ზოგად კურსს. შესავალი ნაწილი დაეთმობა ქრისტიანობის გავრცელებას კიევის რუსეთის სახელმწიფოში. განხილულ იქნება მოსკოვის სამიტროპოლიტოს დაარსებისა და რუსეთის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ისტორია, რუსეთის ეკლესიის მოღვაწეობა სინოდალური მმართველობის პერიოდში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პარტიარქობის აღდგენის, რუსეთის ეკლესიის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობის და XX-XXI საუკუნეების რუსეთის ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

რუსეთის ევროპული პოლიტიკა

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - დალი კანდელაკი (კონტრაქტით)

კურსის მიზანს წარმოადგენს რუსეთის ევროპული პოლიტიკის ისტორიის შესწავლა ღრმად და საფუძვლიანად. კურსის მოსმენა მეტად საინტერესოა, რათა სტუდენტები ამ მასალების გათვალისწინებისა და შესწავლის შემდეგ, უფრო ახლოს იყვნენ თანამედროვეობასთან და ახსნან რუსეთის დღევანდელი ნაბიჯები მსოფლიო პოლიტიკაში. მათ უნდა შეისწავლონ არა მარტო კონკრეტული ფაქტები რუსეთის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან, არამედ უნდა შეძლონ მათი განზოგადება და ანალიტიკური დასკვნების გაკეთება, რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის (ევროპული პოლიტიკის) ამსახველი დოკუმენტების დამუშავება და მათი ანალიზის მეთოდების სრულყოფა. ეს დოკუმენტები ასახავენ რუსეთის ევროპული პოლიტიკური კურსის დამახასიათებელ როგორც ზოგად კანონზომიერებებს, ასევე მის თავისებურებებს. მათში გამოთქმულია განსხვავებული ან სულაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ამათუიმ პოლიტიკური მოვლენის შესახებ, რაც სტუდენტებს ისტორიული პროცესის ალტერნატული განმარტებების შესაძლებლობას აძლევს.

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის საკითხები ევროპულ წყაროებში (XVIII XXI სს.)

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - დალი კანდელაკი (კონტრაქტით)

სასწავლო კურსი წარმოადგენს სავალდებულო კურსის "რუსეთი და კავკასია" შემავსებელ ნაწილს, რომლის მიზანია XVIII-XXI საუკუნეების რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების (მათ შორის რუსეთ-საქართველოს) ურთიერთობების ისტორიის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა; სტუდენტები გაეცნობიან ევროპულ წყაროებს, გააანალიზებენ და შეადარებენ ქართულ, რუსულ და სხვა წყაროებს. ევროპული მასალების დამუშავების პარალელურად განვიხილავთ როგორც კავკასიის ქვეყნების, ასევე რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს. ამ მასალების გათვალისწინება საკმაოდ დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს მრავალი საკითხის გარკვევაში. მათ უნდა შეძლონ სამეცნიერო ლიტერატურის და წყაროების შეფასება, რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ არსებული პრობლემური საკითხების ობიექტურად გაშუქება და დასკვნის გაკეთება.

რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - ნინო ჩიქოვანი

სტუდენტები გაეცნობიან რუსეთის ცივილიზაციური რაობის პრობლემასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს, რუსეთის ადგილისა და როლის განსაზღვრის მცდელობებს: მოსკოვი მესამე რომის თეორიას და მის ტრანსფორმაციას XV საუკუნიდან დღემდე, ევროპისა და აზიისადმი დამოკიდებულების საკითხის განსხვავებულ ვერსიებს XVI-XVII საუკუნეებში, "ევროპისაკენ ფანჯრის გაჭრას" და მის შეფასებას თანამედროვეთა და მემკვიდრეთა მიერ, რუსეთის ისტორიული განვითარების გზისა და სამომავლო პერსპექტივების სხვადასხვა ხედვას XIX საუკუნეში, ევრაზიელობის თეორიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ადგილის ძიებას XX საუკუნე.

რუსული სახვითი ხელოვნება და საქართველო (XVIII საუკუნე XX დასაწყისი)

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, ასოც. პროფესორი - თებრონე ურუშაძე

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს მნიშვნელოვან საფუძველს შეუქმნის XVIII-ს – XX-ს დასაწყისის რუსული ხელოვნების ისტორიის შესწავლის პროცესში. განიხილება მნიშვნელოვანი და საინტერესო

საკითხები, როგორიცაა - დასავლეთის ხელოვნების გავლენა რუსულ ხელოვნებაზე, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობების ისტორია, რუსეთში ქართველი მხატვრების და საქართველოში რუსი მხატვრების მოღვაწეობა; გავაცნობთ იმ შესანიშნავ შემოქმედებით დანატოვარს, რომელმაც განსაზღვრული როლი ითამაშა ქართული ხელოვნების განვითარების პროცესში.

რუსული ფილოსოფია

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, ასოც. პროფესორი - ირაკლი ბრაჭული

სასწავლო კურსის მიზანია რუსული ფილოსოფიური სკოლისა და დისკურსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის და პოსტულატების შესწავლა. სტუდენტებს გავაცნობთ რუსული ფილოსოფიის საკითხთა და პრობლემათა ორიგინალურ ფართო სპექტრს. განსაკუთრებით შევეხებით ისეთ საკითხს როგორიცაა, XIX-XX საუკუნეების რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლა, რომელიც რუსული მართლმადიდებლობის, რუსული ლიტერატურის მსოფლმხედველობრივი ტრადიციების და კლასიკური და მოდერნისტული დასავლური ფილოსოფიის სინთეზის შედეგად წარმოიშვა.

კომუნიკაცია რუსულ ენაზე ინტერკულტურულ გარემოში

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, ასოც. პროფესორი მარინა ალექსიძე

სასწავლო კურსის კურსის მიზანია რუსულ ენაზე ლიტერატურული და საქმიანი ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევათა ფორმირება, სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებთან პროფესიული ურთიერთობისათვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბება. კურსის შინაარსს, სალექციო და სემინარულ მეცადინეობებს მაგისტრანტები შეჰყავთ შემდეგი პრობლემების სფეროში: პიროვნებათშორის კომუნიკაციის თავისებურებანი, სამეტყველო ზემოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა, საქმიანი ურთიერთობის ეთიკა, რუსული ენის ეროვნულად ორიენტირებული სწავლების თეორია და პრაქტიკა. კურსის ათვისება უზრუნველყოფს მაგისტრანტების მომზადებას დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობისათვის, ხელს შეუწყობს წარმატებულ კომუნიკაციას რუსულ ენაზე ინტერკულტურულ გარემოში.

ისტორიული დოკუმენტების ფილოლოგიური ანალიზი

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, ასოც. პროფესორი მარინა ალექსიძე

მაგისტრანტებს ვთავაზობთ ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსს, რომელიც ლინგვისტური და ისტორიული თემატიკის ინტეგრაციას ითვალისწინებს. კურსის შესწავლისას მოხდება რუსული ენის, ენის ისტორიის, რუსეთის ისტორიისა და ქართულ-რუსული დიპლომატიური ურთიერთობების ცოდნის სინთეზი. მაგისტრანტები შეისწავლიან შემდეგ საკითხებს: საქმიანი წერილი და დოკუმენტი საქმიანი პროზის მრავალფეროვნებადოკუმენტის შედგენის მიზანი და გარემოებები, საქმიანი წერის ტრადიცია, რუსული დამწერლობა XV საუკუნის დასასრულიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე, რუსულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი რუსული საარქივო მასალა ("გრუზინსკიე დელა"). კურსის მიზანია სტუდენტები აღჭურვოს წერილობითი ძეგლების ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევებისათვის აუცილებელი ცოდნით.

"ქართული" თემის ტრანსფორმაცია რუსულ ლიტერატურასა და კულტურაში

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, ასოც. პროფესორი - ნოდარ ფორაქიშვილი

კურსის მიზანია ქართულ-რუსული ურთიერთობების იდეურ-მხატვრული საფუძვლების შესწავლა (XIX საუკუნიდან დღემდე) "სამუშაო პრინციების სისტემისა" და დებულებების თანამდევი განმარტებებით, რომელთა გარეშეც შეუძლებელია უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის კვლევა. მაგისტრანტებს შევთავაზებთ ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა: რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია ა.გრიბოედოვიდან დღემდე "გარდაქმნისა" და საბჭოთა კავშირის რღვევისას წარმოქმნილი პროცესების გათვალისწინებით; ქართული თემატიკა რუსულ ლიტერატურაში და სხვ. მუშაობა ეფუძნება ლიტერატურის შინაარსობლივი და ფორმალური სტრუქტურების განშტოებათა ერთიანობაში განხილვას. მასალის ამგვარი მიწოდება მაგისტრანტებს გაუღრმავებს წარმოდგენას მომხდარ და მიმდინარე წინააღმდეგობრივ პროცესებზე, ხელს შეუწყობს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას.

რუსეთის პოლიტიკა: პოსტსაბჭოთა პერიოდი

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - მალხაზ მაცაბერიძე

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სახელმწიფოებრივ განვითარებას პოსტსაბჭოთა პერიოდში. გაეცნობიან ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ევოლუციას, ძირითად პრიორიტეტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს.

საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - მალხაზ მაცაბერიძე

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან იმ იდეოლოგიურ კონცეფციას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, კომუნისტური ტოტალიტარიზმის და მისი დემონტაჟის საკითხებს, სტუდნტები გაეცნობიან საბჭოთა კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიას და მის ევოლუციას სახელისუფლო ცვლილებებთან ერთად, მოკავშირე რესპუბლიკების და პირველ რიგში საქართველოს ადგილს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის კრიზისისა და დაშლის მიზეზებსა და შედეგებს.

გლობალიზაცია და რუსეთის ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი,

პროფესორი - რევაზ გველესიანი, ასისტ. პროფ. - მაია გონაშვილი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები; დაანახოს რუსეთის ეკონომიკის ადგილი გლობალურ ეკონომიკაში. შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გლობალიზაციის ზემოქმედება ეროვნული სახელმწიფოების ბედ-იღბალზე; შეუძლია თუ არა სახელმწიფოს დამოუკიდებლად ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა; როგორ ნაწილდება ფუნქციები ეროვნულ სახელმწიფოსა და ზეეროვნული რეგულირების ორგანოებს შორის ეკონომიკის წარმართვის პროცესში; რუსეთის ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირების პრობლემები. განვიხილავთ ნეოლიბერალური მოდელის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს, "ვაშინგტონის კონსენსუსის" დოქტრინის არსს და გამოყენების პრაქტიკულ გამოცდილებას განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. გავაანალიზებთ რუსეთის თანამედროვე გეოეკონომიკურ-გეოსტრატეგიული პოზიციებსა და ინტერესებს.

რუსეთის ეკონომიკა

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - ზაქარია ბერკაცაშვილი (კონტრაქტით)

მსოფლიო ეკონომიკის შესწავლამ საბოლოოდ პრაქტიკული თვალსაზრისით პასუხი უნდა გასცეს ყოველი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს კითხვაზე – და მაინც, როგორია ამა თუ იმ სახელმწიფოს ადგილი თანამედროვე მსოფლიოში? ყველა ჩვენი ძალისხმევა, მიმართული მეგაეკონომიკის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა შესაცნობად, მისი სტრუქტურის ანატომირება, მოწინავე ქვეყნების განვითარების გზების კვლევა, გარდა წმინდა შემეცნებითი ამოცანებისა, სავსებით პრაგმატულ მიზანს ისახავს – გამოვავლინოთ თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში რუსეთის ორგანული შესვლის შესაძლებლობები. გლობალიზაციის პირობებში მეგაეკონომიკაში ქვეყნის ადგილის ძიება განვითარების გზების განსაზღვრის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსის ძირითადი ამოცანებია: რუსეთის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსების ანალიზი; რუსეთის ეკონომიკური მოდელის განსაზღვრა; რუსეთის ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი; რუსეთის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობისა და ეკონომიკური მაჩვენებლების განხილვა.

რუსეთის ბიზნესგარემო

არჩევითი კურსი, 5 კრედიტი, პროფესორი - ზაქარია ბერკაცაშვილი (კონტრაქტით)

რუსეთის ბიზნესგარემოს კურსის შესწავლის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტებს რუსეთის ბაზარზე ბიზნესის განხორციელებისათვის აუცილებელი თვისებები. ამისათვის საჭიროა მაგისტრანტებთან მუშაობის პროცესში გადაწყდეს შემდეგი ამოცანები: ისინი უნდა გაერკვნენ ბიზნესგარემოს არსში და დარწმუნდნენ მისი შესწავლის აუცილებლობაში, რუსეთის დემოგრაფიული გარემოს ძირითად მაჩვენებლებში და მათი გამოყენების გზებში, რუსეთის კონკურენტულ უპირატესობებსა და სუსტ მხარეებში; რუსეთის პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემებში; უნდა მიიღონ ცოდნა ეკონომიკური გარემოს მაჩვენებლების ცვლილებებზე და ბიზნესში მათი გათვალისწინების შესაძლებლობებზე, რუსეთის საზოგადოების კულტურულ ფასეულობებზე, კლასობრივ სტრუქტურაზე, რუსეთის მოსახლეობის განათლების საერთო და ბიზნესში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განათლების დონეზე.